ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **30-302309373**
თარიღი: **03/04/2023**

ადრესატი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

განსახილველად წარმოგიდგენთ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოგიდგენთ დაზუსტებულ პროექტს. ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

მიზანშეწონილად ჩაითვალა ქ.ლანჩხუთში ცენტრალურ მოედანზე (წრიულზე) მდებარე საათის დემონტაჟი და მის ადგილზე სახელმწიფო დროშის აღსამართად შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა, საორიენტაციო ღირებულებით 23000 ლარი. პროექტის დაფინანსება განხორციელდება საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 17 მარტის N545 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი გრანტით. ტექომეტრის (ჯიპიეს მოწყობილობა) შეძენა განხორციელდება საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 17 მარტის N545 განკარგულებით მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი კაპიტალური გრანტით, საორიენტაციო ღირებულებით 35000 ლარი. ქალაქის, მაჩხვარეთის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში გზების რეაბილიტაციაზე მიიმართება 20508,07 ლარი საქართველოს მთავრობის 11.03.2021 წლის N330 განკარულების ნაშთიდან, ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ჭალაში მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე მიიმართება სულ 308566 ლარი, მათ შორის 29.12.2022 წლის N2475 განკარგულებით 293137 ლარი და საბიუჯეტო სახსრებით 15429 ლარი. საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დაფინანსება გაიზრდება 1011829,82 ლარით. მერიის საქონელი და მომსახურების ხარჯი გაიზარდება 16571 ლარით. ცელიაკით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა გაიზარდება 3000 ლარით. დაკმაყოფილდება ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის მოთხოვნა 50000 ლარის დამატებით დაფინანსების გამოყოფის თაობაზე და ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდება ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების 50000 ლარის შემცირების ხარჯზე, ვინაიდან ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება გათვალისწინებული იქნა მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან და დაფინანსება განისაზღვრება 150000 ლარის ფარგლებში. ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის დამტკიცებულ ასიგნების ფარგლებში სხვა ხარჯების მუხლის 5000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდება საქონელი და მომსახურების ხარჯი

2800, ქ.ლანჩხუთი, კოსტავას ქ.37, ელ.ფოსტა: Lanchkhuti@yahoo.com

4050 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი 950 ლარით. ა(ა)იპ სპორტული ცენტრის დაფინანსება დამტიკცებულ ასიქნების ფარგლებში საქონელი და მომსახურების ხარჯი შემცირდება 912 ლარით და გაიზარდება არაფინანსური აქტივების ხარჯი 912 ლარით.

საკითხთან დაკავშირებით მომხსენებლად წარმოგიდგენთ მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის როლანდ ლაშხიას კანდიდატურას.

პატივისცემით,

ალექსანდრე სარიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი